



საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისათვის“ შეხვედრა

ოქმი #1

18 მარტი, 2015 წ.

ქ. თბილისი

18 მარტს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფისში გაიმართა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის - „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისათვის“ დამფუძნებელ წევრ ორგანიზაციათა წარმომადგენლების პირველი შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეები (ანბანური თანამიმდევრობით):

- ვიქტორ ბარამია – ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- თამარ გვარამაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ნინო ევგენიძე - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
- ქეთევან ვაშაკიძე - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- ნინო ლოლაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- მადონა შილდელაშვილი – ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- გიორგი ციმიბტია - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- თამარ ჯუღელი - პი ემ სი კვლევითი ცენტრი

შეხვედრას ვერ დაესწრო ამირან გიგინეიშვილი (საქართველოს სასოფლო დარბაზი)

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ქეთევან ვაშაკიძე, რომელმაც პლატფორმის შექმნის მიზანსა და ზოგად ფუნქციებზე, აგრეთვე დამფუძნებელი წევრების შერჩევის კრიტერიუმებზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ სამომავლოდ პლატფორმა ღია იქნება ახალი წევრებისთვისაც, რომელთა

შერჩევა მომავალში დამფუძნებელი ორგანიზაციების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება.

მონაწილეთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრება პლატფორმაში არამარტო საჯარო სახსრების მონიტორინგის საკითხებზე, არამედ ზოგადად, სხვადასხვა ე.წ. თემატური ორგანიზაციების (მაგ. გარემოსდაცვითი, შშმპ პრობლემებზე მომუშავე და ა.შ.) გაწევრიანების მიზანშეწონილობაზე.

შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ პლატფორმის წესდების პროექტი, რომლის განხილვის დროს პლატფორმის წევრების მხრიდან გამოითქვა კონკრეტული კომენტარები, მათ შორის შენიშვნები ტექსტის ფორმულირებასა და პლატფორმის მუშაობის წესთან დაკავშირებით (პლატფორმის წევრების მიერ შეხვედრების მოწვევის, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა საკითხები). აღნიშნული კომენტარების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წესდების ტექსტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ. პლატფორმის წესდების საბოლოო ვარიანტს მოამზადებს და წევრ ორგანიზაციებს გაუზიარებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია პროექტის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიმდინარე ტრენინგებისა და საჯარო სახსრების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების შეფასების დაგეგმილი კვლევის შესახებ. სახსრების მართვის მონიტორინგის კუთხით არსებული მექანიზმების შეფასებისა და ამ სფეროში პრობლემების გამოვლენის მიზნით დაგეგმილი კვლევის შესახებ, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაკვეთით პროექტის ფარგლებში განხორციელდება.

ქეთევან ვაშაკიძემ შეხვედრის მონაწილეებს საკოორდინაციო საბჭოს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ პლატფორმისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დამაკავშირებელი მექანიზმის და, ამავდროულად, სხვადასხვა საკითხზე მსჯელობის სივრცის, შექმნის კუთხით არსებული ვითარება გააცნო. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია, საკოორდინაციო საბჭო იყოს წარმომადგენლობითი, ანუ ხელისუფლების მხრიდან საბჭოს მუშაობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ჩართული იყოს სხვა სამინისტროები, აგრეთვე საქართველოს პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური, პლატფორმის მხრიდან კი - მთლიანად პლატფორმის მმართველი კომიტეტი და/ან შესაბამისი წევრი ორგანიზაციების ჯგუფი (თემის აქტუალობიდან გამომდინარე). საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანობის პერსპექტივაზე მსჯელობისას ნახსენები იქნა პროექტით გათვალისწინებული ადვოკატირების სხვა მეთოდები, როგორცაა საჯარო ფორუმების გამართვა და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ფაქტებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიწოდება. აღინიშნა, რომ მომავალში საკოორდინაციო

საბჭოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოხდეს მისი ინსტიტუციონალიზაცია.

აღინიშნა ამ სფეროში მომუშავე, თუ დაინტერესებული ორგანიზაციების მხრიდან დუბლირების თავიდან აცილების მიზნით დამფუძნებელ წევრების მიმდინარე, თუ დაგეგმილი საქმიანობის გაზიარება, აგრეთვე სხვა დაინტერესულ მხარეებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის აუცილებლობა. ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან ამ სფეროში მიმდინარე საქმიანობის მოკლე წარდგენის პარალელურად, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, ერთმანეთს წერილობითი ფორმითაც გაუზიარონ შესაბამისი ინფორმაცია.

შეხვედრის მონაწილეებს, აგრეთვე წერილობითი სახით გაეგზავნებათ შესწორებული წესდება საბოლოო შეჯერებისა და შეთანხმებისათვის, რის შემდგომაც დაიგეგმება წესდებით გათვალისწინებული პროცედურები, კერძოდ პლატფორმის თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევნები.